ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №17/გ
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. მცხეთა 17 ოქტომბერი 2014წ

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი" (შემდგომში – „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით და მეორეს მხრივ, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ ნემსიწვერიძის სახით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სახელზე რიცხული ავტომანქანებისათვის VAZ 21214 სახ. ნომრით AC374AD და VAZ 21214 სახ. ნომრით AC375AD 2(ორი) ერთეული აკუმულატორის Exide Premium 64ა/ს შესყიდვა. (CPV 31400000)

2. ხელშეკრულების ღირებულება და მიწოდების პირობები

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 380 (სამასოთხმოცი) ლარს.

2.2. მიწოდებული საქონლის საერთო ღირებულება შეიცავს ,,შემსრულებლის'' ყველა ხარჯს, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, სახდელს, მოსაკრებელს, ბაჟს, მათ შორის დღგ–ს.

2.3. აკუმულატორების სარეალიზაციო ფასი მოიცავს მისი მონტაჟის ღირებულებას, გარდა არასტანდარტული შემთხვევებისა (აკუმულატორი მონტაჟი საბარგულში, სავარძლის ქვეშ), ასეთ შემთხვევაში აკუმულატორის მონტაჟის ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად, გაწეული მომსახურების სირთულიდან გამომდინარე.

2.4 საქონლის მიწოდებას „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს „შემსყიდველის" მოთხოვნიდან 5 დღის განმავლობაში, 2014 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3. ანგარიშსწორება

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა, „შემსრულებლის" მიერ მიწოდებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.2. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს"' მიწოდებული საქონლის სრული ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და ვადაში.

4.3. „შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირება.

5. პირგასამტეხლო

5.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით.

6. საქონლის/მომსახურების მიღება – ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება დასტურდება საგადასახადო დოკუმეტაციით. ასევე, „შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების

აქტით, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას „მიმწოდებლისაგან“ „შემსყიდველზე“ და „შემსყიდველის“ მიერ მის მიღებას.
6.2. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება „შემსყიდველის“ მოთხოვნის საფუძველზე, საქონლის მიწოდების ფაქტიურად განხორციელებისთანავე.

7. ხარისხი

7.1 .საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანი.

9. ფორს – მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს 10 კალენდარული დღის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2. თუ, ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

11.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

12. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

12.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი გიორგი ებრალიძე .

13. მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ. N5
სს. ,,თიბისი ბანკი''
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE80TB0600000024467853

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი

შემსყიდველი:

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
მისამ: ქ.მცხეთა აღმაშენებლის N136
საიდენტ. კოდი: 236098833
სს „ლიბერთი ბანკი" მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ნ GE73LB0120143172029000

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი
ავთანდილ ნემსიწვერიძე